

შპს თი ჯი ელ სპორტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს თი ჯი ელ სპორტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
შემოსავალი	2	11 742 538 (6 217 958)	12 008 140 (6 033 878)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საერთო მოგება		5 524 580	5 974 262
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3	(3 780 003)	(3 497 817)
სხვა შემოსავალი		409	-
საოპერაციო მოგება		1 744 986	2 476 455
არასაოპერაციო შემოსავალი	4	174 664	251 817
არასაოპერაციო ხარჯი		(1 826)	(423)
პერიოდის მოგება		1 917 824	2 727 839
სხვა სრული შემოსავალი			
სრული შემოსავალი		1 917 824	2 727 839

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 11 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

მთავარი ბუღალტერი
დირექტორი

მ. ჭიჭინაძე

თათია მდივნიშვილი
ვარულ ჭიპაშვილი

შპს თი ჯი ელ სპორტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	393 842	425 647	196 930
გრძელვადიანი ინვესტიციები	6	2 516 443	2 529 920	2 529 920
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 910 285	2 955 567	2 726 850
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	12 602 710	8 969	6 945 484
მისაღები დივიდენდები			3 388	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1 315 742	480 484	245 923
გადახდილი ავანსები	9	1 485 612	2 597 367	523 083
		1 469 809		1 688
ფული და ფულის ექვივალენტები	10		819 549	681
სულ მიმდინარე აქტივები		16 873 873	12 870 674	9 403 171
სულ აქტივები		19 784 158	15 826 241	12 130 021
საკუთარი აქტივი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	11	8 430 024	6 525 854	3 798 015
საწესდებო კაპიტალი		127 250	127 250	127 250
სულ საკუთარი კაპიტალი		8 557 274	6 653 104	3 925 265
გრძელვადიანი ვალდებულებები				
დამფუძნებლის მიმართ		6 205 293		
დავალიანება	12		4 356 300	3 694 874
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6 205 293	4 356 300	3 694 874
მიმდინარე ვალდებულებები				
დავალიანება ბიუჯეტის მიმართ	13	42 305		
დავალიანება თანამშრომლის მიმართ		116 329	64 507	3 081
გადასახდელი დივიდენდები		4 460 464	4 478 900	4 478 900
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		402 493	273 430	27 901
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5 021 591	4 816 837	4 509 882
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		19 784 158	15 826 241	12 130 021

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 19 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები

Handwritten signature

თათია მდივნიშვილი

ვარულ ჭიპაშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თი ჯი ელ სპორტი (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 205073043 დაფუძნდა 2005 წელს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N8. კომპანიის დირექტორია ვარულ ჭიპაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპორტული ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით ვაჭრობა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორთა წილები:

მესაკუთრე	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თემურ ლეკვეიშვილი	50%
გრიგოლ ლეკვეიშვილი	50%

კომპანიის მიერ 2007 წლის 24 დეკემბერს მოხდა შპს „ანის“ (ს/კ 211233610) 100%-იანი წილის შესყიდვა. 2016 წლიდან შპს „ანის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას გამზირზე საკუთრებაში არსებულ მიწაზე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა შემდგომი გაყიდვის მიზნით. შპს „ანის“ დირექტორია ასევე ვარულ ჭიპაშვილი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგება პირველად მომზადდა „მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად.

მსს ფასს-ის მე-9 განყოფილების 9.2 პუნქტის მიხედვით, „მშობელმა საწარმომ უნდა წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც კონსოლიდირებული იქნება შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს მშობელი საწარმოს ყველა შვილობილ საწარმოს.

9.4 პუნქტის მიხედვით „შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს მშობელი საწარმო. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.“

9.13 პუნქტის მიხედვით „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას საწარმოთა ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საწარმომ უნდა:

ა) გააერთიანოს მშობელი და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;

ბ) უგულებელყოს თითოეულ შვილობილ საწარმოში მშობელი საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მშობელ საწარმოს ეკუთვნის.“

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ამ ორი კომპანიის, როგორც ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას მის ფასს-ის ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ მოგება ან ზარალის სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2020 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 1 იანვარს 3.2095		2.8677
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766 [*]	4.0233

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახდით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახდო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახდო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახდო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახდები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახდები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახდო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი

დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

კომპანია იყენებს ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის. ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასწვრივებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწევა. კომპანიას საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სავაჭრო ცენტრებთან მაღაზიების ფართებზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის ფართის გამოსყიდვის უფლება. შესაბამისად, კომპანიის მიერ გადახდილი იჯარის თანხა გამოიქვითება პერიოდის მოგება/ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის ნაშთის მეთოდით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების

გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადანდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

2. შემოსავლები

ჯგუფის შემოსავალი 2020 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020
შემოსავალი სპორტული ტანსაცმლის და ფეხსაცმლის რეალიზაციიდან	10 991 547
საიჯარო შემოსავალი	750 991
სულ	11 742 538

3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020
ხელფასის ხარჯი	1 248 763
ცვეთა და ამორტიზაცია	87 008
რემონტის ხარჯი	6 595
იჯარის ხარჯი	1 488 683
რეკლამის ხარჯი	4 730
საბანკო ხარჯი	128 342
კომუნალური ხარჯი	241 369
საკანცელარიო ხარჯი	5 384
საპროცენტო ხარჯი	488 848
საკონსულტაციო მომსახურება (საგად. აუდიტი)	6 101
საბაჟოზე გაწეული ხარჯი	3 620
დარიცხული გადასახადები	15 630
სხვა ხარჯი	54 930
სულ	3 780 003

4. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

ჯგუფის მიერ 2020 წლის საანგარიშო პერიოდში მიღებული არასაოპერაციო ზარალი შედგება შემდეგი მუხლებისგან:

	31.12.2020
საბანკო ანაბარზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი	4 489
შპს „ოცნებიდან“ მისაღები დივიდენდი	152 454
საკურსო სხვაობიდან მიღებული სალდირებული მოგება	9 465
დაბრუნებული საშემოსავლო გადასახადი	16 648

გადახდილი მოგების გადასახადი	(1 826)
უიმედო ვალის ჩამოწერა, რაზედაც გადახდილია მოგების გადასახადი	(8 392)
სულ არასაოპერაციო ზარალი	172 838

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მსუბუქი ავტომობილები	ავეჯი და ინვენტარი	სულ
01.01.2020	87 466	111 506	497 560	696 532
შემოსვლა			55 245	55 245
გასვლა				
31.12.2020	87 466	111 506	552 805	751 777
დაგროვილი ცვლა				
01.01.2020	(26 386)	(83 946)	(160 554)	(270 886)
გასვლა				
პერიოდის ცვლა	(3 054)	(5 512)	(78 484)	(87 050)
	(29 440)	(89 458)	(239 038)	(357 936)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება				
31.12.2020	58 026	22 048	313 767	393 842

კომპანიის საკუთრებაში არსებულ ძირითად საშუალებებს ცვლა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

6. გრძელვადიანი ინვესტიციები

გრძელვადიანი ინვესტიციები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2020	31.12.2019
გრძელვადიანი ინვესტიციები		
ინვესტიცია მეკვაშირე საწარმოში შპს „ოცნება“	825 425	825 425
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში შპს „ანი“	1 691 018	1 704 495
სულ ფინანსური აქტივები	2 516 443	2 529 920

კომპანია 33,34%-იანი წილით მონაწილეობს შპს „ოცნების“ (ს/კ 203835591) საწესდებო კაპიტალში. კომპანიას აღნიშნული წილი შეძენილი აქვს 825 425 ლარად, რაც წარმოადგენს გრძელვადიან ინვესტიციას.

კომპანიას ასევე ფლობს 100%-იან წილს შპს „ანის“ (ს/კ 2111233610) საწესდებო კაპიტალში. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფს ასახული აქვს მხოლოდ შპს „ანის“ წილის შესყიდვის დროს გადახდილი ნომინალური ღირებულება 1 691 018 ლარი. კომპანიის მიერ აღრიცხვაში მოხდა მცირე არაარსებითი ცვლილებების განხორციელება, რამაც გამოიწვია 13 477 ლარიანი სხვაობა ინვესტიციის შეფასებაში. ინდივიდუალურსა და კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღნიშნულ მუხლში სხვაობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახულია ინვესტიციის სრული ოდენობა შპს „ანისში“, ხოლო კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოხდა მხოლოდ იმ ნაწილის ასახვა, თუ რა ოდენობის თანხა იქნა გადახდილი შვილობილი კომპანიის წილის შესაძენად. საწესდებო კაპიტალში გადატანილი თანხა შპს „ანის“ ანგარიშგებაში ასახულია ვალდებულებებში დამფუძნებლის მიმართ და კონსოლიდაციის პრინციპებიდან გამომდინარე, ამ ვალდებულებისა და შესაბამისი აქტივის ელიმინირება მოხდა კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

7. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
საქონელი სავაჭრო ნიშნით „ადიდასი“ და „რიბოკი“	5 032 061	4 446 511
საწვავი	170	2 645
პარკები	18 539	23 110
მშენებარე კორპუსის თვითღირებულება	7 551 941	4 401 934
სამშენებლო მასალები		95 686
სულ მარაგები	12 602 710	8 969 886

ჯგუფის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება სპორტული ტანსაცმლის და ფეხსაცმლის მარაგისაგან და ასევე პარკებისაგან, რომლებიც ძირითადი საქონლის რეალიზაციის დროს დამხმარე საქონლის ფუნქციას ასრულებს და გამოიყენება საქონლის შესაფუთად.

ასევე ჯგუფის მარაგებში ასახულია შპს „ანის“ საკუთრებაში არსებული გასაყიდად გამიზნული კორპუსის დაუმთავრებელი მშენებლობის თვითღირებულება, რომლის გაყიდვა ჯერჯერობით არ დაწყებულა.

ჯგუფის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია თვითღირებულებით.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები საიჯარო მომსახურებაზე	1 145 279	384 165
ბანკის მიერ ჩასარიცხი ტერმინალის დავალიანება	170 463	96 319
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 315 742	480 484

ჯგუფს მოთხოვნების სახით უფიქსირდება გაწეულ საიჯარო მომსახურებაზე კომპანიების დავალიანებაზე არსებული მოთხოვნები. ასევე მოთხოვნების სახით არის აღრიცხული პერიოდის ბოლოს საბანკო ტერმინალებზე გატარებული და ჯერ ბანკისგან ჩაურიცხავი თანხები, რომლებიც საბანკო ანგარიშზე ასახვას ჰპოვებს ტერმინალებზე ბარათის გატარებიდან 1-2 დღის შემდგომ.

9. გადახდილი ავანსები

კომპანიას რამდენიმე მომწოდებელთან პერიოდულად უფიქსირდება ავანსების გადახდა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯების ავანსებს, რომლებზეც შემდგომ პერიოდებში ხდება საქონლის/მომსახურების მიღება. ამავე ავანსების შემადგენლობაში შედის შპს „ანის“ მიერ ქვეკონტრაქტორებისათვის გადახდილი ავანსები, რომელთა შესაბამისი სამუშაოების შესრულება წლის ბოლომდე არ განხორციელდა. გადახდილი ავანსების ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით შეადგენს 2 579 367 ლარს, ხოლო 31.12.2020 მდგომარეობით - 1 485 612 ლარს.

ავანსების ნაშთში 1 485 612 ლარში ასევე შედის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ოცნებიდან“ მიღებული დივიდენდის ავანსი 3 288 ლარის ოდენობით.

მათ შორის 01.01.2020 და 31.12.2020 მდგომარეობით უფიქსირდება შპს „თი ჯი ელ სპორტის“ მიერ საქონლის მომწოდებელ რუმინულ კომპანიასთან გადარიცხული ავანსი, რომლის გადაფასება არ ხდება მის ფასის 30-ე განყოფილების თანახმად არაფულადი მიუხეობის ოპერაციის დღეს არსებული ღირებულებით აღიარების მოთხოვნის შესაბამისად.

10. ფული და ფული ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.20 20	31.12.2019
ნაღდი ფული სალაროში	185 650	114 490
ლარი საბანკო ანგარიშებზე	434 688	479 264
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	849 471	225 795
	1 469	
სულ	809	819 549

11. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი კომპანიაში 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
გაუნაწილებელი მოგება 2017 წლიდან	8 430 024	6 525 854

საწესდებო კაპიტალი	127 250	127 250
სულ გაუნაწილებელი მოგება	8 557 274	6 653 104

12. დამფუძნებლის მიმართ არსებული დავალიანება

დამფუძნებლის მიმართ არსებული დავალიანება 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
დამფუძნებლისგან სესხი	5 740 745	3 913 522
სესხზე დარიცხული პროცენტი	464 548	442 777
სულ	6 205 293	4 356 300

ჯგუფს დავალიანებებში ასახული აქვს დამფუძნებლის მიერ შემოტანილი სესხი, რომლის გასტუმრება ხდება საქმიანობის პროცესში მიღებული შემოსავლიდან. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის დავალიანება მხოლოდ ნაწილობრივ არის გასტუმრებული. შემოტანილ სესხზე ხდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა საბაზრო განაკვეთით, რომლის გასტუმრება ხდება ასევე პერიოდულად.

13. მოკლევადიანი ვალდებულებები

ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
საგადასახადო ვალდებულებები	42 305	
სავაჭრო ვალდებულებები	402 493	273 430
გადასახდელი დივიდენდები	4 460 464	4 478 900
დავალიანება თანამშრომლის მიმართ	116 329	64 507
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5 021 591	4 816 837

სავაჭრო ვალდებულებები წარმოქმნილია ჯგუფის ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობისათვის შეძენილი საქონლის და მომსახურებებიდან.

ჯგუფს სახელფასო ვალდებულებები პერიოდის საწყისი და საბოლოო თარიღებისთვის არ უფიქსირდება. ჯგუფს (კერძოდ შპს „ანის“) აღებული აქვს დირექტორისგან მიმდინარე ხარჯების დასაფარად დავალიანება, რომლის გასტუმრება მოხდება საქმიანობიდან შემოსული თანხით.

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. 2017 წლამდე მიღებული მოგებიდან გასაცემი

დღიდანდის ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით შეადგენდა 4 460 464 ლარს. საწყის ნაშთთან
ცვლილება გამოწვეულია იგივე არაარსებითი სხვაობით, რაც უკვე ასახულია ინვესტიციის
მუხლში.

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

19.11.2021

მ. ჭიჭინაძე



თათია მდივნიშვილი

ვარულ ჭიპაშვილი

შპს თი ჯი ელ სპორტი
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს თი ჯი ელ სპორტი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
შემოსავალი	2	11 714 613	12 008 140
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(6 203 589)	(6 033 878)
საერთო მოგება		5 511 024	5 974 262
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3	(3 754 311)	(3 503 298)
სხვა შემოსავალი		4 114	2 152
საოპერაციო მოგება		1 760 827	2 473 116
არასაოპერაციო შემოსავალი	4	170 175	243 163
არასაოპერაციო ხარჯი		(1 826)	(423)
პერიოდის მოგება		1 929 176	2 715 856
სხვა სრული შემოსავალი			
სრული შემოსავალი		1 929 176	2 715 856

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 14 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

მთავარი ბუღალტერი
დირექტორი

ა. ჯივნიჭიშვილი


თათია მდივნიშვილი
ვარულ ჭიპაშვილი

შპს თი ჯი ელ სპორტი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	354 321	425 647	196 930
გრძელვადიანი ინვესტიციები	6	11 483 482	9 601 482	7 065 782
სულ გრძელვადიანი აქტივები		11 837 803	10 027 129	7 262 712
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	5 050 769	4 472 266	3 136 254
მისაღები დივიდენდები	8	(13 502)	(6 826)	(16 638)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1 297 930	480 484	245 923
გადახდილი ავანსები	10	71 890	333 835	248 931
ფული და ფულის ექვივალენტები	11	1 392 853	676 328	1 524 530
სულ მიმდინარე აქტივები		7 799 940	5 956 087	5 139 000
სულ აქტივები		19 637 743	15 983 216	12 401 712
საკუთარი აქტივი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	12	8 448 042	6 518 869	3 803 011
საწესდებო კაპიტალი		127 250	127 250	127 250
სულ საკუთარი კაპიტალი		8 575 292	6 646 119	3 930 261
გრძელვადიანი ვალდებულებები				
დამფუძნებლის მიმართ				
დავალიანება	13	6 205 293	4 356 300	3 694 874
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6 205 293	4 356 300	3 694 874
მიმდინარე ვალდებულებები				
დავალიანება ბიუჯეტის მიმართ	14	42 305	252 702	298 952
გადასახდელი დივიდენდები		4 460 461	4 460 461	4 460 461
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		354 389	267 634	17 162
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4 857 158	4 980 797	4 776 575
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11 062 451	15 983 216	12 401 712

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თი ჯი ელ სპორტი (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 205073043 დაფუძნდა 2005 წელს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N8.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპორტული ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით ვაჭრობა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორთა წილები:

მესაკუთრე	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თემურ ლევკეიშვილი	50%
გრიგოლ ლევკეიშვილი	50%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგება პირველად მომზადდა „მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ნაგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინტრუმენტებიდან წარმოშობილი საკუროსო მოგება და ზარალი წარდგენილია სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ მოგება ან ზარალის სხვა სრული შემოსავლის ანგარიშებში ნეტო სიდიდით.

2020 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 1 იანვარს	2.8677	3.2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშებში, თუ წარმოიშობა მომავალი სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშებში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახდით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახდო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახდო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახდო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახდები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

კომპანია იყენებს ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის. ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანაშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწევა. კომპანიას საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სავაჭრო ცენტრებთან მაღაზიების ფართებზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის ფართის გამოსყიდვის უფლება. შესაბამისად, კომპანიის მიერ გადახდილი იჯარის თანხა გამოიქვითება პერიოდის მოგება/ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის ნაშთის მეთოდით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

2. შემოსავლები

შემოსავალი 2019 წლის 31 დეკემბერთი დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020
შემოსავალი სპორტული ტანსაცმლის და ფეხსაცმლის რეალიზაციიდან	10 973 679
საიჯარო შემოსავალი	740 934
სულ	11 714 613

3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბერთი დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020
ხელფასის ხარჯი	1 248 763
ცვეთა და ამორტიზაცია	77 128
რემონტის ხარჯი	6 595
იჯარის ხარჯი	1 488 683
რეკლამის ხარჯი	4 730
საბანკო ხარჯი	126 752
კომუნალური ხარჯი	232 693
საკანცელარიო ხარჯი	5 095
საპროცენტო ხარჯი	488 848
საკონსულტაციო მომსახურება	6 101
საბაჟოზე გაწეული ხარჯი	3 620
დარიცხული გადასახადები	15 630
სხვა ხარჯი	49 673
სულ	3 754 311

4. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის მიერ 2020 წლის საანგარიშო პერიოდში მიღებული არასაოპერაციო ზარალი შედგება შემდეგი მუხლებისგან:

	31.12.2020
საბანკო ანაზარზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი	4 114
შპს „ოცნებიდან“ მისაღები დივიდენდი	152 454
საკურსო სხვაობიდან მიღებული სალდირებული მოგება	9 465
დაბრუნებული საშემოსავლო გადასახადი	16 648
გადახდილი მოგების გადასახადი	(1 826)
ჩამოწერილი უიმედო ვალი, რომელიც დაიბეგრა მოგების გადასახადით	(8 350)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(42)
სულ არასაოპერაციო ზარალი	174 289

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მსუბუქი ავტომობილები	ავეჯი და ინვენტარი	სულ
01.01.2020	87 466	111 506	497 560	696 532
შემოსვლა			5 844	5 844
გასვლა				
31.12.2020	87 466	111 506	503 404	702 376
დაგროვილი ცვეთა				
01.01.2020	(26 386)	(83 946)	(160 554)	(270 886)
გასვლა				
პერიოდის ცვეთა	(3 054)	(5 512)	(68 604)	(77 170)
	(29 440)	(89 458)	(229 158)	(348 056)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება				
31.12.2020	58 026	22 048	274 246	354 320

კომპანიის საკუთრებაში არსებულ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

6. გრძელვადიანი ინვესტიციები

გრძელვადიანი ინვესტიციები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
გრძელვადიანი ინვესტიციები		
ინვესტიცია მეკვაშირე საწარმოში შპს „ოცნება“	825 425	825 425
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში შპს „ანი“	10 658 057	8 776 057
სულ ფინანსური აქტივები	11 483 482	9 601 482

კომპანია 33,34%-იანი წილით მონაწილეობს შპს „ოცნების“ (ს/კ 203835591) საწესდებო კაპიტალში. კომპანიას აღნიშნული წილი შეძენილი აქვს 825 425 ლარად, რაც წარმოადგენს გრძელვადიან ინვესტიციას.

კომპანიას ასევე ფლობს 100%-იან წილს შპს „ანის“ (ს/კ 2111233610) საწესდებო კაპიტალში. შპს „ანიში“ გარდა თავდაპირველად შეძენის ღირებულებისა, მუდმივად ხდება ინვესტიციის განხორციელება, ვინაიდან შპს „ანი“ წარმოადგენს სამშენებლო კომპანიას და მუდმივად საჭიროებს დამატებით კაპიტალს საქმიანობის განსახორციელებლად.

7. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო საქონელი	5 032 060	4 469 621
პარკები	18 709	2 645
სულ მარაგები	5 050 769	4 472 266

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება სპორტული ტანსაცმლის და ფეხსაცმლის მარაგისაგან და ასევე პარკებისაგან, რომლებიც ძირითადი საქონლის რეალიზაციის დროს დამხმარე საქონლის ფუნქციას ასრულებს და გამოიყენება საქონლის შესაფუთად.

8. მისაღები დივიდენდი

კომპანიას უფიქსირდება მისაღები დივიდენდის ნაშთები 2020 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2020	31.12.2019
შპს „ოცნება“	(3 288)	3 388
შპს „ანი“	(10 214)	(10 214)
სულ მისაღები დივიდენდი	(13 502)	(6 826)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები საიჯარო მომსახურებაზე	1 127 468	384 165
ბანკის მიერ ჩასარიცხი ტერმინალის დავალიანება	170 463	96 319
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 297 930	480 484

კომპანიას მოთხოვნების სახით უფიქსირდება გაწეულ საიჯარო მომსახურებაზე კომპანიების დავალიანებაზე არსებული მოთხოვნები. ასევე მოთხოვნების სახით არის აღრიცხული პერიოდის ბოლოს საბანკო ტერმინალებზე გატარებული და ჯერ ბანკისგან ჩაურიცხავი თანხები, რომლებიც საბანკო ანგარიშზე ასახვას ჰპოვებს ტერმინალებზე ბარათის გატარებიდან 1-2 დღის შემდგომ.

10. გადახდილი ავანსები

კომპანიას რამდენიმე მომწოდებელთან პერიოდულად უფიქსირდება ავანსების გადახდა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯების ავანსებს, რომლებზეც შემდგომ პერიოდებში ხდება საქონლის/მომსახურების მიღება. გადახდილი ავანსების ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით შეადგენს 333 835 ლარს, ხოლო 31.12.2020 მდგომარეობით - 71 890 ლარს.

11. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული სალაროში	185 650	114 490
ლარი საბანკო ანგარიშებზე	358 806	336 926
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	848 397	224 912
სულ	1 392 853	676 328

12. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი კომპანიაში 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
გაუნაწილებელი მოგება	8 448 042	6 518 866
საწესდებო კაპიტალი	127 250	127 250
სულ გაუნაწილებელი მოგება	8 575 292	6 646 116

გაუნაწილებელი მოგება შეიცავს ნაშთებს 01.01.2017-დან წარმოქმნილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

13. დამფუძნებლის მიმართ არსებული დავალიანება

დამფუძნებლის მიმართ არსებული დავალიანება 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
დამფუძნებლისგან სესხი	5 740 745	3 913 522
სესხზე დარიცხული პროცენტი	464 548	442 778
სულ	6 205 293	4 356 300

14. მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
საგადასახადო ვალდებულებები	42 305	252 702
სავაჭრო ვალდებულებები	354 389	267 634
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	396 694	520 336

სავაჭრო ვალდებულებები წარმოქმნილია კომპანიის ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობისათვის შეძენილი საქონლის და მომსახურებებიდან.

მთავარი ბუღალტერი
დირექტორი

ა. ჭიჭინაშვილი

თათია მდივნიშვილი
ვარულ ჭიპაშვილი

14.09.2021